# SPCSJ

# SCIENTIFIC AND PRACTICAL CYBER SECURITY JOURNAL

VOL4 No1
MARCH 2020

ISSN 2587-4667

**Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 4(1): 1 - 13 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)**

# Cyber Hygiene Assessment for end users – a case study of Georgia

# საბოლოო მომხმარებლების კიბერჰიგიენის შეფასება - კვლევა საქართველოს მაგალითზე

Giorgi Akhalaia
Caucasus University, Caucasus School of Technology

**აბსტრაქტი** საქართველოში ბოლო რამდენი ათწლეულია ტექნოლოგიური რეფორმა მიმდინარეობს. G2G, G2B, G2C, B2B ტიპის სერვისების უმეტესობამ ონლაინ პლათფორმებზე გადაინაცვლა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) მზარდი დამოკიდებულება თავის მხრივ მნიშვნელოვანად ზრდის საფრთხეს პერსონალური, კორპორატიული თუ სახელმწიფო ინფორმაციისა და ინტერესების დაცვის კუთხით.

მომხმარებელი არის კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი და ამავდროულად ყველაზე სუსტი რგოლი. შესაბამისად კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა დაიწყოს მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებით, კიბერჰიგიენის მოწესრიგებით. სტატია მიმართულია არსებული მდგომარეობის შეფასების, მოწყვლადი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისაკენ. სამაგიდო კვლევის პარალელურად ჩატარდა კომპიუტერული სისტემის მომხმარებლების გამოკითხვა, რათა რეალურად გამოვლენილიყო ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები. კვლევისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა სოციალურ ინჟინერიაზე, პაროლის მართვის პოლიტიკაზე, ელექტრონული ფოსტის გამოყენების უნარჩვევებზე, უკაბელო ქსელის პარამეტრებსა და გამოყენების პრინციპებზე, არალიცენზირებულ პროგრამებსა და სხვა კიბერჰიგიენისთვის აუცილებელ პარამეტრებზე. კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან დაბალი ცნობიერებაა ამ კუთხით მომხმარებელში. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში მთავარი აქცენტი კეთდება აპარატურულ ნაწილზე და მომხმარებლის ფაქტორი ხშირად უყურადღებოდ რჩება. სტატიაზე მუშაობისას გამოვლინდა, რომ არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად დაარეგულირებს საქართველოს კიბერსივრცეს.

**საკვანძო სიტყვები**: Cyber Hygiene, Cyber Security, Cyber Crime in Georgia, Cyber hygiene assessment, end user awareness

**ABSTRACT.** Within the last decades, technological reforms are running in Georgia. A big part of G2G, G2B, G2C, B2B services moved to online platforms. With the grow of dependence on informational and communicational technologies (ICT) increases the risk of threats on personal, corporate or governmental informational and security. The user is the most important and together with this, the weakest point of cyber security. So, insuring cyber security must be started from raising awareness and cyber hygiene level of the users. The paper is focused on assessing the existing environment, identification of vulnerable weaknesses and on developing of corresponding recommendations. Together with the main research, the survey of the

users of the system was performed to identify most common mistakes from practice. The main accent of the research was made on social engineering. Passwords policies, skills of using e-mails, using of wireless network configuration parameters, use of illegal software and other required parameters of cyber hygiene. The research showed, that the awareness of the users in this field is very weak. Unfortunately, usually the main accent was made on hardware and user factor was left without needed attention. During the research was identified, that corresponding legislation, which would regulate security processes based on national strategic regulations, did not exist.

**Keywords:** *Cyber Hygiene, Cyber Security, Cyber Crime in Georgia, Cyber hygiene assessment, end user awareness*

იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი არის კიბერუსაფრთხოების მთავარი და ამავდროულად ყველაზე სუსტი რგოლი, აუცილებელია შემუშავდეს სწორი სტრატეგია, რომლითაც მოხდება კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში. სწორი სტრატეგიის წინაპირობაა არსებული მდგომარეობის, რეალობის შეფასება. კითხვარი ეხება მომხმარებლის ისეთ უნარ-ჩვევებს რომელსაც იგი ყოველდღიურად იყენებს და უმნიშვნელოვანესია პირადი, კორპორატიული თუ სახელმწიფო კიბერუსაფრთხოებისთვის. სამიზნე კატეგორია იყო კომპიუტერული მოწყობილობების ნებისმიერი ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფის მომხმარებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე კატეგორია, მათ შორის სკოლის მოსწავლეების შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ასაკში ყველაზე ნაკლებად ელოდება მოზარდი საფრთხეს და აქტიურად იყენებს ინტერნეტ სივრცეში არსებულ ინფორმაციას. ასევე იურისტები და ფინანსისტები, რომლებსაც შეხება აქვთ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტაციასთან. კრიტიკულად მნიშვნელოვანია მენეჯერულ პოზიციაზე მომუშავე ხალხის კიბერჰიგიენა, რადგან ისინი განსაზღვრავენ ძირითადად მიმართულებასა და სტრატეგიას. ამიტომ მაქსიმალურად უნდა იყვნენ გათვიცნობიერებულები კიბერუსაფრთხოების ძირითად პრინციპებში.

მნიშვნელოვანი იყო კვლევაში მონაწილეობა მიეღო გეოგრაფიულად სხვადასხვა არეალში მცხოვრებ მოსახლეობას, რადგან დაგვენახა ზოგადი სურათი და არა რომელიმე კონკრეტულად დასახლებული პუნქტის შედეგები.

რაც შეეხება უშუალოდ კითხვების სტრუქტურას, გამოყენებული იყო როგორც დახურული ასევე ღია კითხვები. კითხვები მაქსიმალურად მოიცავდა იმ თემებს რასაც მომხმარებელი ყოველდღიურად ეხება. კვლევა ჩატარებულია “Google Form” ის საშუალებით. რაც ამარტივებდა მის გავრცელებასა და შევსების ეტაპებს.

კვლევა იწყება ზოგადი ინფორმაციის შეგროვებით, როგორიცაა ასაკი, სქესი, დასაქმების ადგილი და სამუშაოს ტიპი, რადგან სწორად განისაზღვროს ყველაზე სუსტი კატეგორია. საინტერესოა მონაწილეების უკუკავშირი. რესპოდენტების ნაწილი თვლიდა, რომ აღნიშნული საკითხების ცოდნა სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, რადგან უსაფრთხოება IT_ის პასუხისმგებლობაა. ვინც პროფესიით IT იყო, ისინი (უმეტესობა) პროტესტს გამოთქვამდნენ, თუ რატო უნდა ხვდებოდეს ჩვეულებრივი, არა IT განათლების მქონე

მომხმარებელი კვლევაში დასმულ კითხვებსაც კი. რეალურად, ეს პრობლემის სათავეა, რადგან კიბერუსაფრთხოება ყველას პასუხისმგებლობაა და შეუძლებელია მხოლოდ IT ჯგუფმა უზრუნველყოს მთლიანი კომპანიის უსაფრთხოება. მითუმეტეს კვლევა კონცენტრირებულია კიბერჰიგიენის იმ ზოგად უნარ-ჩვევებზე, რომლებიც აუცილებელია ყველასთვის, ვინც კომპიუტერულ სისტემას იყენებს, პირადი თუ კორპორატიული ინტერესებისთვის. ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ ჰიგიენას სტომატოლოგიურ კლინიკებში, სახლებსა და სასტუმროებში, სილამაზის სალონებსა და საავადმყოფოებში, მაგრამ ვერ ათვიცნობიერებენ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი კომპიუტერულ სისტემებში. სამწუხაროდ, საქართველოში ტექნიკური განათლების ხალხის უმეტესობა ვერ ხედავს კიბერჰიგიენის აუცილებლობას.

კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 154_მა ადამიანმა. აქედან 65 წარმოადგენდა მამრობით სქესს, ხოლო 89 მდედრობითს (იხ. Fig 1).







Fig. 1

განათლების მიხედვით კი ასე ნაწილდება (იხ. Fig. 2). 87 ს აქვს უმაღლესი განათლება, 45 სტუდენტია, საშუალოა განათლება აქვს 12 ს, ხოლო პროფესიული 6 ს გამოკითხულს.




Fig2.

პირველი კითხვა ეხებოდა ზოგადად იყენებს თუ არა რესპოდენტი არალიცენზირებულ, ე.წ. გატეხილ პროგრამებს. ეს დეტალი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში აზრს კარგავს უსაფრთხოების სისტემები, რამდენადაც ძვირადღირებული არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. გატეხილი პროგრამა თავდამსხმელის მხრიდან ე.წ. backdoor ის ინექციის პირდაპირი რისკია. ეს გულისხმობს, რომ მომხმარებელი საკუთარი ნებით აძლევს პოტენციურ თავდამსხმელს არსებულ კომპიუტერულ მოწყობილობაზე წვდომას. ანუ, შიგნიდან ვუხსნით არხს, რომლის საშუალებითაც შეძლებს კომპიუტერულ სისტემაში სხვადასხვა ტიპის მანიპულაციას.

იყენებენ ან გამოუყენებიათ თუ არა არალიცენზირებული, ე.წ. გატეხილი პროგრამები, გამოკითხულთა არანაკლებ 79% მა უპასუხა - კი (იხ. Fig. 3). რაც კრიტიკულად ცუდი შედეგია. თუ შემდეგი კითხვის პასუხებსაც გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ რეალურად კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. კითხვაზე რამდენად ხშირად იყენებენ პროგრამის აქტივატორებს 69%_მა უპასუხა „იშვიათად“, ხოლო 27%_მა „ხშირად“ (იხ. Fig 4). აქედან გამომდინარე, რეალურად, 96% იყენებს არალიცენზირებულ, გატეხილ პროგრამებს.




Fig. 3




Fig. 4

ასევე ერთი კითხვა გამოყოფილი იყო კონკრეტულად ყიდულობენ თუ არა ოპერაციულ სისტემას. სამწუხაროდ ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა რასაც საქართველოში უშვებენ. მკვეთრად მცირდება უსაფრთხოების დონე, თუ ვიყენებთ ე.წ. გატეხილ ოპერაციულ სისტემას. ამ შემთხვევაშიც წინასწარ, გამტეხის მიერ არის კოდში ჩარევა და ჩაკერებული აქვს თავისი კოდი. რა თქმა უნდა, ამ დროსაც backdoor_ის ძალიან დიდი რისკია. ასევე რიგ შემთხვევებში გაუქმებულია მწარმოებლის მიერ მოწოდებული ოპერაციული სისტემის განახლებები. პირველი ორი კითხვიდან უკვე გამოჩნდა, რომ მომხმარებელთა 96% გაუთვიცნობიერებლად თუ გათვიცნობიერებულად, იყენებს უკვე დაჰაკულ პროგრამულ უზრუნველყოფას. თუ ასეთი მომხმარებლების რიცხვს ჩავშლით დასაქმების ადგილის მიხედვით მივიღებთ შემდეგ სურათს (იხ. Fig. 5):




Fig. 5

როგორც დიაგრამაზე ჩანს 32% დასაქმებულია სახელმწიფო სტრუქტურაში, ხოლო 33% ბიზნეს სექტორში. ანუ მომხმარებლების 2/3, რომელთა ხელშიცაა საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურა, იყენებს არალიცენზირებულ, გატეხილ პროგრამას. ანუ პირდაპირ საფრთხეს უქმნის ინფორმაციის, მონაცემების კონფიდენციალურობას. [1]

თავის მხრივ ცალკე პრობლემაა პერიოდული პროგრამული განახლებები. ამიტომ ამის შესახებაც იყო დასმული კითხვა - რამდენად ხშირად აკეთებენ ოპერაციული სისტემებისა და/ან პროგრამების განახლებებს. განახლებებში დამატებით ფუნქციონალთან ერთად მაღალი პრიორიტეტი აქვს უსაფრთხოებას. ყოველ განახლებაში, ეს იქნება ოპერაციული სისტემის თუ რომელიმე პროგრამული უზრუნველყოფის, გასწორებულია ე.წ. bug ები და vulnerabilities. ამიტომ აუცილებელია მომხმარებელმა სისტემატიურად აკეთოს გეგმიური პროგრამული განახლებები. რათა თავიდან აირიდოს არსებული სისუსტეებიდან მოსალოდნელი თავდასხმები. გამოკითხულთა დაახლოებით 63% არ ყიდულობს ოპერაციულ სისტემას. რამდენიმე პროცენტი იყენებს უფასო ოპერაციულ სისტემას(მაგალითად Linux) ხოლო დანარჩენები სხვადასხვა მიზეზის (უმეტესად ფასი) გამო უპირატესობას ანიჭებენ გატეხილ

ვერსიას. ანუ გარდა გატეხილი პროგრამებისა ძირითადად იყენებენ აქტივატორით გატეხილ ოპერაციულ სისტემებს. აქედან გამომდინარე, რამდენიმე გზა არსებობს სისტემაში ე.წ. Malware ების შემოსაღწევად.

გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი, 21% არ აკეთებს პროგრამების პერიოდულ განახლებას (იხ. Fig. 6). ფორუმებზე პერიოდულად იდება პროგრამების ახალი სისუსტეების exploit ები. რომელიც საკმაოდ მარტივად ხელმისაწვდომია.


Fig. 6

პერიოდულ განახლებებში გათვალისწინებულია და გამოსწორებულია იმ დროისთვის არსებული სისუსტეები. მაგალითად ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ არქივატორს WinRar_ს რამდენიმე თვის წინ უპოვეს bug_ი, რომელიც თავდამსხმელს სისტემაში შეღწევის საშუალებას აძლევდა. ერთი შეხედვით უწყინარი პროგრამა, რომელიც უვადოდ დროებით, ე.წ. Trial ვერსიას თავაზობს მომხმარებელს, წარმოადგენდა და ალბათ ბევრი მომხმარებლისთვის ისევ წარმოადგენს დიდ საფრთხეს. პრობლემა მდგომარებდა შემდეგში: ძველი ვერსიები იყენებდნენ 2006 წელს დაკომპილირებულ .dll (dynamic link library) ფაილს, რომელსაც არ ქონდა დაცვის მექანიზმი. [2]

მომხმარებელთა 61% ძირითადად იყენებს Windows 10 ის ოპერაციულ სისტემას, 16% - Windows 7 და 10% - Windows 8/8.1 _ს. დანარჩენი კი ნაწილდება სხვა ოპერაციულ სისტემაზე. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 74% აკეთებს ოპერაციული სისტემის განახლებას. რაც უფრო ახალია ოპერაციული სისტემა მით უფრო უსაფრთხოა, შეიძლება ითქვას გათვალისწინებულია წინა ვერსიებში დაშვებულ ხარვეზები. მაგალითად Windows 8/8.1 შედარებით უსაფრთხოა ვიდრე Windows 7. მაგრამ ამათზე უფრო უსაფრთხოა Windows 10. ზოგადად Microsoft ის ოპერაციულ სისტემებზე უსაფრთხოა Mac OS და Linux. ამიტომ უსაფრთხოებაზე საუბრისას აუცილებელია განხილული იყოს ოპერაციული სისტემის ნაწილიც. გამოკითხულთა საკმაოდ ნაწილმა იცის, რომ OS_ის განახლება საჭიროა

უსაფრთხოებისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ ანახლებს. ზოგ შემთხვევაში ამის მიზეზი ისევ არალიცენზირებული სისტემაა, რომელიც განახლების შემთხვევაში თავიდან საჭიროებს გააქტიურებას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამის მიზეზია ცნობიერების არ ქონა. რადგან უმეტეს შემთხვევაში უსაფრთხოება მხოლო სიტყვად რჩება და რეალურად ვერ ათვიცნობიერებენ ამას რა შეიძლება მოყვეს.

რაც შეეხება ანტივირუსებს, საკმაოდ ჭრელი სურათია. მეტ ნაკლებად იყენებენ სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას. აქ ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. გამოკითხულთა ნაწილმა არც იცის, რომ ანტივირუსს იყენებს. მაგალითად რესპოდენტების ნაწილს ოპერაციულ სისტემაში მითითებული აქვთ Windows 10, ხოლო იყენებენ თუ არა ანტივირუსს პასუხი აქვთ უარყოფითი. ანუ მომხმარებელთა გარკვეულმა კატეგორიამ ისიც არ იცის, რომ Microsoft ის ოპერაციული სისტემის ბოლო ვერსიებში ანტივირუსი ინტეგრირებულია და სტანდარტულად მოყვება ოპერაციულ სისტემას. მნიშვნელოვანია აქცევენ თუ არა ყურადღებას რომელ ქვეყანაშია ანტივირუსი დაწერილი. რადგან გასათვალისწინებელია ქვეყნის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია. მაგალითად, თუ ქვეყანა სტრატეგიის მიხედვით თვლის რომ რუსეთი კიბერსივრცეში აგრესორია და პოტენციურ თავდამსხმელს წარმოადგენს, მაშინ არ უნდა გამოვიყენოთ რუსეთის მიერ წარმოებული ანტივირუსები. გამომდინარე იქიდან, რომ თუ ანტივირუს აქვს ფაილებთან წვდომა, რაც ბუნებრივია, რადგან ასკანერებს(ამოწმებს საფრთხეებზე) ფაილებს, მაშინ თავისთავად ნათელია რომ ანტივირუსის მწარმოებელსაც ქონდეს ჩვენს სისტემაზე(ფაილებზე) წვდომა.

გამოკითხულთა 60%_ს ერთხელ მაინც გადმოუწერია ფაილი Torrent იდან ან ფორუმიდან. ასეთი ტიპის პლათფორმებზე ხშირად შეუმოწმებელი ფაილებია ატვირთული, რის გამოც კრიტიკულად მაღალია Malware_ის რისკი. ძირითადად გამოიყენებენ გატეხილი, არალიცენზირებული პროგრამების გადმოსაწერად. როგორც წინა პუნქტებში იყო აღნიშნული გატეხილი პროგრამა უკვე შეიცავს უცხო კოდს, რომელიც ავტორმა შესაძლოა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ცვალოს და შედეგად მოიპოვოს არა ავტორიზებული წვდომა სისტემაზე.

თანამედროვე სამყაროში, საბანკო სერვისებმა, ფილიალებიდან ონლაინ პლათფორმებზე გადმოინაცვლა. საქართველოს პოლიტიკაც აქტიურად მიმართულია ელექტრონული მმართველობის დანერგვისაკენ. აქედან გამომდინარე ონლაინ პლათფორმებზე განთავსებულია როგორც პერსონალური ინფორმაცია ასევე საბანკო ტრანზაქციები. ამიტომ მნიშვნელოვანია მომხმარებელი სწორად, ანუ უსაფრთხოდ იყენებდეს ინტერნეტ და მობაილ ბანკის სერვისებს. რესპოდენტების 90% იყენებს გადახდების ონლაინ სერვისებს (იხ. Fig. 7). დეტალებში რო ჩაიშალოს: 66% ხშირად, ხოლო 24% იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებს ამ სერვისებს.




Fig. 7




Fig. 8

კითხვაზე, ამოწმებენ თუ არა გახსნილი web გვერდის შიფრაციას, 75%_ს უარყოფითი პასუხი ქონდა. კვლევის თანახმად ონლაინ გადახდით მოსარგებლეთა 74% არ ამოწმებს გახსნილი web გვერდის შიფრაციას (იხ. Fig. 8). ამ ორი კითხვიდან გამომდინარე, კომპიუტერული სისტემით მოსარგებლეთა 66%_ი მარტივად შეიძლება გახდეს თუნდაც DNS spoofing_ის მსხვერპლი და მათი ანგარიშიდან მოხდეს არალეგალური ტრანზაქცია.

პაროლების შერჩევის პოლიტიკაშიც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაა. გამოკითხულთა 70% ერთსა და იმავე პაროლს იყენებს სხვადასხვა სერვისზე (იხ. Fig. 9). თუ რომელიმე ერთი სერვისის პაროლს გაიგებს თავდამსხმელი, მაშინ დიდი ალბათობით სხვა სერვისებზეც ექნება წვდომა.




Fig 9




Fig. 10

72% იყენებს 8-16 სიგრძის პაროლს, რაც ნორმალურია (იხ. Fig. 10). მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღესდღეობით ახალ სერვისებს შეზღუდვა აქვს პაროლის სიგრძეზე, რის გამოც ფიზიკურად ვერ გამოიყენებ 8 სიმბოლოზე ნაკლები სიგრძის პაროლს.

ამ კითხვარში, სპეციალურად იყო ერთი კითხვა ისე ფორმულირებული, რომ რესპოდენტს საშუალებას აძლევდა, სურვილის შემთხვევაში დაეწერა თავისი პაროლი. სამწუხაროდ რამდენიმე მომხმარებელმა თავისი პაროლი დაწერა. გარდა იმისა, რომ ღიად დაწერეს პაროლი, თვითონ პაროლის სტრუქტურაც ძალიან სუსტი იყო. ძირითადად გამოყენებული აქვთ ოჯახის წევრის, უმეტესად შვილის სახელი და თარიღები. რაც კრიტიკულად დაუშვებელია პაროლების მართვის პოლიტიკაში.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კიბერსაფრთხეს წარმოადგენს ე.წ. phishing. ამიტომ საინტერესოა საქართველოს მოსახლეობის შეფასება email ებთან ყველაზე მეტად დაშვებული პრობლემების ჭრილში. გამოკითხულთა 63% ყოველდღე იყენებს ელექტრონულ ფოსტას (იხ. Fig. 11). თუ დავუმატებთ იმ რაოდენობას, რომელიც კვირაში რამდენჯერმე იყენებს email_ს, მაშინ 84% ს მივიღებთ. ეს კატეგორია მოწყვლადია მეილებთან დაკავშირებული კიბერშეტევებისთვის. მაგალითად phishing_ისთვის. გამოკითხულთა 77% არ ამოწმებს მიღებული ელექტრონული ფოსტის შიფრაციის დეტალებს (იხ. Fig. 12).


Fig. 11




Fig. 12

გამოკითხულთა მინიმუმ 41%_მა არც კი იცის როგორ მოწმდება email ის უსაფრთხოება. რესპოდენტების 38% არ ამოწმებს ელ-ფოსტის გამომგზავნის მისამართის სისწორეს. ისინი ძალიან მარტივად შეიძლება აღმოჩდნენ email თაღლითობის მსხვერპლი. დაინტერესებულმა პირმა, შესაძლოა რეალური მეილის მისამართში ერთი რომელიმე ასოს ამოღებით ან სხვა მიმსგავსებულ სიმბოლოთი ჩანაცვლებით ისე შენიღბოს საკუთარი მეილი, რომ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოიპოვოს სასურველი ინფორმაცი. თუ ამ ორი პარამეტრის შედეგს დავთვლით მხოლოდ იმ რესპოდენტებისთვის, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე ან ყოველდღე იყენებენ ელექტრონულ ფოსტას მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს:


Fig. 13

თუ კიდე უფრო ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ email_ის აქტიურ მომხმარებელთა 73% დან, რომლებიც არ ამოწმებენ მიღებული შეტყობინების შიფრაციის დეტალებს (იხ. Fig. 13), 44% არც გამომგზავნის მისამართის სისწორეს ამოწმებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მომხმარებლები, „მზად არიან“ გახდნენ email შეტყობინებებით განხორციელებულ კიბერკრიმინალის მსხვერპლი, მაგალითად phishing_ის. ეს კატეგორია წარმოადგენს, გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 27 %_ს. რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია. თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტსაც, რომ ელექტრონულ ფოსტას აქვს იურიდიული ძალა, ანუ ასეთი წერილი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წყარო, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეალურად გაცილებით მაშტაბური ზარალი/ზიანი შეიძლება მიადგეს კომპანიას ვიდრე მხოლოდ რომელიმე ერთი ფიზიკური პირის პირად თუ საბანკო ინფორმაციაზე წვდომის მოპოვებაა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლო 21% ხსნის, გადადის ელექტრონული საშუალებებით მიღებულ რეკლამაზე. მსგავსი ტიპის რეკლამები რეალურად გარკვეულ რისკს შეიცავს. რადგან თითოეული ბმულის უკან შესაძლოა მავნე კოდი იმალებოდეს, რომელსაც ბმულზე გადასვლით გაშვების ნებართვას ვაძლევთ. შესაბამისად სანამ რეკლამაზე გადავა მომხმარებელი კარგად უნდა გადამოწმდეს ვისგან არის რეკლამა და რამდენად რეალურია იგი. მაგალითად თუ მეილის შინაარსი იწყება ზოგადი მომართვით და არა კერძო სახელით ან გვარით, ან გამომგზავნი ადრესატისგან რაღაცის დაუყონებლივ შესრულებას ითხოვს, ეს შეიძლება იყოს ბმულზე გადასვლა, რაღაცის გამოწერა, დათანხმება რაიმე საჩუქარზე და ასე შემდეგ - უკვე მაღალი რისკის შემცველია. ამით თავდამსხმელი ცდილობს ააჩქაროს ადრესატი და ნაკლები დრო დაუტოვოს შინაარსის გასააზრებლად.

გამოკითხულთა 55% არ ამოწმებს რომელი ქვეყნისთვისაა წარმოებული შესაძენი პროდუქტი. დანარჩენი 45% მიზეზად უთითებს თავსებადობას ქვეყნის სტანდარტებთან, როგორიცაა ძაბვა, სიხშირეები და ასე შემდეგ. ერთმა რესპოდენტმა მიუთითა რომ ამოწმებს ორი მიზეზის გამო. პირველი თავსებადობა ქართულ ტექნიკურ პარამეტრებთან და მეორე

რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი პროდუქციის აცილება. სამწუხაროდ მხოლოდ ერთ ადამიანთან იყო ნახსენები რუსეთი. რეგიონალური პროვაიდერების დონეზე, იმავე ფრთის ქვეშ ვართ, რომელშიც რუსეთის ფედერაციაა. ოფიციალური ტექნიკის იმპორტი კი რუსეთის გავლით ხდება. პრობლემა მდგომარეობს რუსეთის შიდა პოლიტიკაში (რასაც არ მალავენ). მათ აქვთ ყველა იმ მოწყობილობის შიფრაციის გასაღები, რომელიც მათი ქვეყნის გავლით მიეწოდება მიმღებს. შესაბამისად, ქვეყანაში, რომელსაც კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის მიხედვით (2017-2018 წლების) რუსეთის ფედერაცია განსაზღვრული ყავს როგორ კიბერდომეინში აგრესორად და საფრთხედ ჩვენი კიბერსივრცისთვის, არ უნდა შემოდიოდეს რუსეთის ფედერაცია გამოვლილი ტექნიკა. თუმცა ამ კუთხით საკმაოდ დიდი პრობლემაა საკანონმდებლო დონეზე. არათუ ფიზიკური პირისთვის, არამედ სახელმწიფო ტენდერებშიც კი არ არის ჩადებული მსგავსი შეზღუდვა.

კითხვაზე, იყენებენ თუ არა WiFi ქსელს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, კაფეებსა და სკვერებში იქ სადაც საერთო მოხმარების, ღია WiFi ქსელი არსებობს, შემდეგნაირად გადანაწილდა პასუხები:




Fig. 14




Fig. 15

ასეთი ტიპის ქსელი ძალიან სუსტადაა დაცული. შესაბამისად, მარტივია სხვადასხვა პროგრამული პაკეტით ქსელის მოსმენა და ინფორმაციის მოპარვა. გამოკითხულთა 86% იყენებს ღია, საერთო გამოყენების WiFi ქსელს (იხ. Fig. 14), აქედან 76% გახსნილი ვებ გვერდის შიფრაციასაც კი არ ამოწმებს (იხ. Fig. 15), რაც საერთო რაოდენობის 54%_ია. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა 54%_სგან მარტივად შეიძლება ინფორმაციის, მონაცემების არალეგალურად მოპოვება. მათი ინფორმაცია საკმაოდ დაუცველია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. არ შეიძლება ასეთი ქსელით სარგებლობისას პერსონალური ინფორმაციის, ავტორიზაციის პარამეტრებისა და საბანკო ინფორმაციის ქსელში გამოყენება. მსგავსი ტიპის ქსელი უნდა გამოიყენონ მხოლოდ განსაკუთრებულ, გადაუდებელ სიტუაციებში ან ისეთი ინფორმაციის გასაზიარებლად რომლის მესამე პირის ხელში მოხვედრა, არ გამოიწვევს მატერიალურ, თუ ფიზიკურ ზარალს.

თუ ჰაკერი წვდომას მოიპოვებს კომპიუტერულ სისტემაზე, ბოლო ბარიერი ხდება შიფრაცია. წინამდებარე კითხვებით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ცხადია

მონაცემების დაშიფვრაზე რა პასუხებიც იქნება. გამოკითხულთა 94% არ აკეთებს მონაცემების შიფრაციას.

დასაქმებულთა მხოლოდ 9%_მა უპასუხა დადებითად კითხვას: აკეთებთ, თუ არა შეღწევადობის ტესტებს (pentesting) თქვენი ორგანიზაციის/კომპანიის web გვერდზე. 12%_მა მიუთითა, რომ ორგანიზაციას არ აქვს web გვერდი. ხოლო 79% მა უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. ბოლო პერიოდში, გახშირდა სხვადასხვა კომპანიის სერვერებზე თავდასხმა, რომელიც საკმაოდ წარმატებით გამოსდით. Pentesting არ ნიშნავს იმას, რომ სერვერი გაუტეხელი გახდება. ამ დროს შესაბამისი პროგრამული პაკეტებით სერვერი მოწმდება იმ დროისათვის ცნობილ exploit ებზე, სისუსტეებზე. ასე ვთქვათ, ჰაკერის, თავდასხმის სიმულაციას ასრულებს ტესტერი, ეთიკური ჰაკერი. ამიტომ თუ წინასწარ, პერიოდულად ჩაატარებენ ვებ გვერდის, სერვერების შეღწევადობის ტესტებს, მაშინ რისკები მინიმალურამდე იქნება დაყვანილი. სამწუხაროდ, ამის კულტურა საქართველოში არ არის და შესაბამის მარტივადაც ხდება ორგანიზაციების სერვერების პარალიზება მარტივი კიბერთავდასხმების დროსაც კი. რეალურად, თავდასხმის, და ზარალის დადგომის შემდეგ იწყებენ რეაგირებას, რაც არასწორი მიდგომაა.

საერთო ჯამში, შედგები კიდე უფრო თვალნათლივ აჩვენებს, რომ სამომხმარებლო გარემოში, კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ძალიან დაბალი დონეა. ფიზიკურ პირზე იქნება თუ ბიზნესზე კიბერშეტევა, საბოლოოდ მაინც სახელმწიფოზე აისახება. ამიტომ აუცილებელია სწორი მიდგომითა და სტრატეგიით, პირველ რიგში ამაღლდეს ცნობიერება მომხმარებლებში. კიბერუსაფრთხოება პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: აპარატურულ და ადამიანურ რესურსად. მხოლოდ აპარატურულ ნაწილს ეთმობა ძალიან დიდი ყურადღება. აქვე ხაზგასასმელია ის, რომ თუ სწორად არ გამოიყენებს ადამიანი შესაბამის ტექნოლოგიას, მაშინ მინიმუმამდე დადის მისი, აპარატურის ეფექტურობა.

## ბიბლიოგრაფია

1. 3. სვანაძე, ა.გოცირიძე. *კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები*, მოამზადა კიბერუსაფრთხოების ეროვნულმა ბიურომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2015.

2. Mott Nathaniel.2019. Hackers Exploit 19-Year-Old WinRAR Vulnerability. *tom's HARDWARE: 18 of March,2019.* *https://www.tomshardware.com/news/winrar-vulnerability-mcafee-research-cybersecurity-stats,38845.html (ბოლო წვდომა: 17.11.2019)*

3. M. Iavich, S. Gnatyuk, G. Iashvili, A. Fesenko. Cyber security European standards in business. Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ), 3(2):36-39, 2019

**ACKNOWLEDGMENT**

I would like to thank whole team of the SCSA, Caucasus University - Caucasus School of Technology and CYSEC for its valuable involvement and help to do research and develop the ideas presented here.

**Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 4(1): 14 - 33 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)**

# შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები და მისი გავლენა სახლმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

# Aspects of Legal Regulation of Labor Migration and It's Impact on The Economic Security of The State

**ილია ხუციშვილი**
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორანტი

**Ilia Khutsishvili**
New Vision University, The Ph.D Programme in Law, Doctoral Student

**ABSTRAC.** International labour migration as a practice has a long history with some turning points. In the recent past, globalization has further enhanced migration, mainly through revolutionary changes in information technology.

The article mainly aims to identify and examine international labour migration theories, deal with the aspects of legal regulation of labor migration and its impact on the national security of the state as well as the economic security.

**Keywords:** Migration Law, Labour Migration, National Security, Economic Security

**ანოტაცია.** მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური პროცესებიდან გამომდინარე, მიგრაცია იქცა გლობალურ ფენომენად და თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოწვევად, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე.

მნიშვნელოვანია ისეთი ძირითადი ფაქტორებისა და რისკ-ჯგუფების გამოვეთა, რომლებიც წარმოადგენენ მიგრაციის წარმომშობ მიზეზებს, როგორებიცაა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს და განხილულ იქნას შრომითი მიგრაციის წარმომშობი თეორიები, გაანალიზდეს შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები და მისი გავლენა როგორც სახლმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ისე ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

**საკვანძო სიტყვები: მიგრაციის სამართალი, შრომითი მიგრაცია, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება**

# შესავალი*

სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დადებითი მიგრაციული სალდოს შენარჩუნება არის სახელმწიფოთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა.

დღესდღეობით მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პრცესებთან ერთად ერთ-ერთი აქტუალური საკითხია მოსახლეობის შრომითი მიგრაცია.[1] რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის უმრავლესობის დაუსაქმებლობა, სახელმწიფოს ძირითადად არასწორი პოლიტიკა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ხელს უწყობს შიდა და გარე შრომითი მიგრაციის გაძლიერებას, ინტელექტუალურ მიგრაციას და არალეგალური მიგრაციის სხვადასხვა ფორმის განვითარებას და ისეთი დანაშაულების რიცხვის ზრდას, როგორიცაა ტრეფიკინგი და მიგრანტთა კონტრაბანდა.

ახალგაზრდები ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიული და სოციო-ეკონომიკური განვითარების მთავარ ძალას წარმოადგენენ. სწორედ ახალგაზრდები არიან ცვლილებების მაპროვოცირებელი და სხვადასხვა სფეროებში ინოვატორები, ამიტომ როდესაც ახალგაზრდები სახელმწიფოში ბევრ გამოწვევას აწყდებიან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში ეს განაპირობებს მათ გადინებას უცხო ქვეყნებში უკეთესი ცხოვრებისეული პირობების საძიებლად,[2] რაც ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე უარყოფითად მოქმედი პირდაპირი ფაქტორია.[3] დემოგრაფიულ უსაფრთხოებას კი უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ გრძელვადიან ზრდასთან.[4]

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია მიგრაციის საკითხების განხილვა სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან კავშირში, მისი წარმომშობი მიზეზების გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, აგრეთვე საერთაშორისო კანონმდებლობის განხილვა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის განსაზღვრა მიგრაციის მართვის სფეროში.

---

* ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების ოფიციალურ პოზიციას;

[1] Migration and Globalization, Why Does Migration Happen? <http://www.globalization101.org/uploads/File/Migration/migration.pdf > გვ. 9-14; [წვდომის თარიღი: 12.01.2020];

[2] ომანაძე ს., გაჩეჩილაძე ნ., ლებანიძე ა., ჩაჩანიძე ს., 2017. თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო, ფრიდრიხ ებერტის ფონდი სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი, თბილისი, გვ. 7-11;

[3] საქართველოს პარლამენტის დადგენილება №5586-IIს, „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 24/06/2016;

[4] ბრუნი ბ.დ., ჭითანავა მ., 2017. მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), თბილისი, გვ. 6-7;

# 1. მიგრაციული პროცესების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

მიგრაციული პროცესების სამართლებრივი რეგულირების საკითხების განხილვისას გასათვალისწინებელია როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ისე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი ინტერესები. გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფო უფლებამოსილია შეზღუდოს ადამიანის უფლებები საჯარო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით.

ვინაიდან მიგრაცია წარმოადგენს საერთაშორისო ფენომენს და მიგრაციული პროცესები დაკავშირებულია საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან, ამიტომ იგი მრავალი კონვენციისა, შეთანხმებისა და საერთაშორისო რეგულირების საგანს წარმოადგენს,* რომელიც მიგრაციის საერთაშორისო სამართლის დარგის რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

მიგრაციის საერთაშორისო სამართალი მოიცავს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელბიც არეგულირებენ ადამიანთა საზღვარგარეთ გადაადგილებისა და მიმღებ სახელმწიფოში მათ სამართლებრივ მდგომარეობას. ეს კი მიგრაციის პროცესის ორ ნაწილს ემიგრაციასა და იმიგრაციას მოიცავს. აქედან გამომდინარე, მიგრაციის საერთაშორისო სამართალი არის მიგრაციის სფეროში სახელმწიფოს სუვერენული უფლებამოსილებიდან და ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა.

მიგრაცია მხოლოდ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის დონეზე ვერ მოწესრიგდება, ამიტომ იგი საჭიროებს ეფექტურ საერთაშორისო რეგულირებას. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შრომით მიგრაციის რეგულირების საკითხებში აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, [5] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა[6] და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის როლი.[7]

საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი საერთაშორისო სამართლის სახელშეკრულებო ნორმებთან ერთად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით განხილულ იქნას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელშიც დადგენეილია მიგრაციასთან დაკავშირებული უფლებებიც. [8] დეკლარაციის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებულია როგორც თავისუფალი და გააჩნია თანასწორი

---

* ამ მიმართულებით საყურადღებოა გაეროს 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“, „იძულებით (საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში) გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები“, „ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის 1990 წლის საერთაშორისო კონვენცია“ და სხვ.

[5] The United Nations, <http://www.un.org/en/> [წვდომის თარიღი: 09.01.2010];

[6] The International Organization for Migration, <https://www.iom.int/about-iom,> [წვდომის თარიღი: 09.01.2020];

[7] The International Labour Organization, ერთა ლიგასთან არსებული ავტონომიური ორგანიზაცია, 1919 წელს ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე შეიქმნა. 1946 წლიდან კი ფუნქციონირებს როგორც გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება <https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:62:0::NO:62:P62_LIST_ENTRIE_ID:2453907:NO>, [წვდომის თარიღი: 09.01.2020];

[8] The Universal Declaration of Human Rights (UDHR), Adopted by the United Nations General Assembly, Resolution 217, Palais de Chaillot, Paris, France, 10 December, 1948, <https://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/217(III)> [წვდომის თარიღი: 06.01.2020];

ღირსება და უფლებები. ამავე დეკლარაციის მეორე მუხლის თანახმად ადამიანის უფლებების დაცვა და თავისუფლება ყველა პირისთვის ერთანირია მიუხედავად პირის ქვეყნის სტატუსისა.

მიგრაციის საკითხების რეგულირების კუთხით მნიშვნელოვანია დეკლარაციის მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები. მე-13 მუხლის თანახმად ყველა ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, დატოვოს ან დაბრუნდეს ქვეყანაში.[9] მე-14 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანს აქვს უფლება მოიძიოს თავშესაფარი.[10] მე-15 მუხლის თანახმად, თითოეულ პირს აქვს უფლება ჰქონდეს მოქალაქეობა.[11]

როგორც აღინიშნა, მიგრაციული პროცესების საერთაშორისო რეგულირება არ გულისხმობს მხოლოდ მისი ნაკადის რეგულირებას, არამედ იგი აგრეთვე მოიაზრებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასაც, მათ შორის შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვას, რადგან შრომის პირობების უზრუნველყოფა და საერთაშორისოდ აღიარებული შრომის უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა. ამ მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა რვა ფუნდამენტური კონვენცია, რომლებიც გაერთიანების თავისუფლებას და კოლექტიურ მოლაპარაკებას, დისკრიმინაციის აკრძალვას, იძულებითი შრომის აკრძალვას, ბავშვთა შრომის აკრძალვას და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.[12]

## 2. მიგრაციის კლასიფიკაცია და სახეები

საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა მსოფლიოში ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდებოდა, 2017 წელს მიგრანტთა რაოდენობამ 258 მილიონს მიაღწია, 2010 წელს იგი 220 მილიონს, ხოლო 2000 წელს კი 173 მილიონს შეადგენდა. მიგრანტთა 60%-ზე მეტი ცხოვრობს აზიაში (80 მილიონი) ან ევროპაში (78 მილიონი). ამერიკის შეერთებულ შტატებში 58 მილიონი, აფრიკაში 25 მილიონი, ხოლო ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში მათი რიცხვი 10 მილიონია.[13]

საერთაშორისო მიგრაციის კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, გამოყოფენ შემდეგ სახეებსა და ფორმებს: მუდმივი, ხანგრძლივვადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, შრომითი, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა,

[9] იქვე, Article 13;

[10] იქვე, Article 14;

[11] იქვე, Article 15;

[12] The International Labour Organization's Fundamental Conventions, (Freedom of Association and Protection of the Right to Organise Convention, 1948 (No. 87), Right to Organise and Collective Bargaining Convention, 1949 (No. 98), Forced Labour Convention, 1930 (No. 29), Abolition of Forced Labour Convention, 1957 (No. 105), Minimum Age Convention, 1973 (No. 138), Worst Forms of Child Labour Convention, 1999 (No. 182), Equal Remuneration Convention, 1951 (No. 100), Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111);

[13] Department of Economic and Social Affairs, United Nations, International Migration Report, New York, 2017, 4-8;

კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, სამივლინებო მიგრაციები.[14]

საერთაშორისო შრომით მიგრაციას შეიძლება ჰქონდეს უმეტესი ზემოთ ჩამოთვლილი მიგრაციის დამახასიათებელი ელემენტი. [15] ის შეიძლება იყოს ხანგრძლივვადიანი, დროებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლოგანხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით - მუდმივსა და დროებითს. [16] დოქტორი რ.ჯენისენი გამოყოფს მიგრაციის ოთხ ტიპს, ესენია: 1) შრომითი მიგრაცია, 2) დაბრუნებითი მიგრაცია (რეპატრიაცია), 3) ჯაჭვური მიგრაცია, 4) თავშესაფრის მაძიებელთა მიგრაცია (დევნილთა მიგრაცია)[17], აგრეთვე ს.ბელი, ს.ალვესი და სხვები თავიანთ ნაშრომში გამოყოფენ საერთაშორისო მიგრაციის ოთხ ტიპს. [18] რაც შეეხება მიგრანტის ტერმინის განმარტებას, მიგრაციის ევროპული ქსელის განმარტების თანახმად, მიგრანტი არის პირი, რომელიც ერთ წელზე მეტია იმყოფება უცხო ქვეყანაში მიუხედავად მისი იქ ყოფნის მიზეზისა.[19]

## 2.1 შრომითი მიგრაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, ერთამნეთისაგან განასხვავაბენ შრომით და ეკონომიკურ მიგრაციას, რომლის თანახმად, შრომითი მიგრანტი არის ადამიანი, რომელიც გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში დასაქმების მიზნით, [20] ეკონომიკური მიგრანტები კი არიან პირები, რომლებიც შედიან ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების განხორციელების მიზნით, მათ შორის ბიზნეს მოგზაურები, ინვესტორები და ყველა პირი რომელიც დაინტერესებულია მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით.[21]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით შრომითი

---

[14] ჭელიძე ნ., 2006., შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, გვ. 5-7;

[15] ბადურაშვილი ი., 2017. მიგრაციის სახელმძღვანელო, მიგრაციის ფორმები, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, გვ. 34-48;

[16] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), 2004., მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ჟენევა;

[17] Jennissen, R. P. W. 2004. Macro-economic determinants of international migration in Europe, Amsterdam, Rozenberg Publishers, P. 93-106;

[18] Bell, S., Alves, S., de Oliveira, E. S., & Zuin, A., 2010. Migration and Land Use Change in Europe: A Review, , Leibniz Centre for Agricultural Landscape Research (ZALF), Eberswalder Straße 84, 15374 M¨uncheberg, Germany. ISSN 1863-7329, P. 16-18;

[19] The European Migration Network, Asylum and Migration Glossary 3.0, 2014. a tool for better comparability produced by the European Migration Network, October, P. 187;

[20] Usher E, 2004. Migration and labour. In: Usher E, editor. Essentials of migration management: a guide for policy makers and practitioners. Geneva: United Nations Publications;

[21] Simon J, Kiss N, Łaszewska A., 2015. Public Health Aspects of Migrant Health: A Review of the Evidence on Health Status for Labour Migrants in the European Region. Health Evidence Network Synthesis Report, No. 43. et al. Copenhagen: WHO Regional Office for Europe, P. 39;

მიგრანტი არის პირი, რომელიც იმუშავებს, მუშაობს ან აქვს ანაზღაურებადი სამუშაო იმ ქვეყანაში რომლის მოქალაქეც იგი არ არის.[22]

როგორც აღინიშნა შრომითი მიგრაცის მაინსპირირებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის კი აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა მიგრაციული ნაკადები განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისაკენ. მიგრაციული პროცესი ძირითადად ეკონომიკური (შრომითი) ხასიათისაა, რაც განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: მიმღებ ქვეყნებში მუშახელზე არსებული მოთხოვნით და მშობლიურ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, რომელსაც თან სდევს უმუშევრობა. აქედან გამომდინარე, მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია, ან რომელსაც დაბალი ანაზღაურება აქვს, ცდილობს წავიდს იმ ქვეყნებში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურების მიღების პერსპექტივაა.[23]

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალური ხდება მთელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, [24] მათ შორის საქართველოსთვის. საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი თუ პრობლემა მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პროცესებისა და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, ამიტომ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. იგი არის მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.[*] კომისიას, რომელიც აერთიანებს 9 სახელმწიფო უწყებას, თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.[25]

საქსტატის ბოლო სამი წლის მონაცემების თანახმად, (2014-2016 წწ.), იზრდება ემიგრანტთა ნაკადი საქართველოდან. 2014 წელს მათი რაოდენობა 88,704 შეადგენდა, რომელთა შორის 69,855 საქართველოს მოქალაქე იყო. 2015 წელს კი, უკვე 95,965 ემიგრანტი წავიდა საქართველოდან, რომელთა უმრავლესობა (67,452) საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო 2016 წელს ემიგრანტთა რიცხვი გაიზარდა და 98,288-ს მიაღწია.[26]

---

[22] International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, Article 2, Adopted by General Assembly resolution 45/158 of 18 December 1990;

[23] ქაჯაია მ., 2005, ახალგაზრდობის გარე მიგრაციული განწყობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, გვ. 47;

[24] International Organization for Migration, World Migration Report 2018, The UN Migration Agency, Part I: Data and information on migration, 10-13;

[*] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებებია: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

[25] საქართველოს მთავრობის დადგენილება #314, „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 13/10/2010;

[26] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ცხრილი #2, <http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo> [წვდომა: 06.01.2020];

დღევანდელი მიგრაციული განწყობის მიზეზებიდან და ძირითადი მოტივებიდან შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები[27], კერძოდ: 1) მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი, 2) სწავლის სურვილი, 3) ქვეყანაში არსებული განუკითხაობა, კრიმინალური სიტუაცია და მდგომარეობის გამოსწორების რწმენისა და იმედის დაკარგვა.[28] ყოველივე ზემოთაღნიშნული კი ხელს უწყობს საკმაოდ მასშტაბურ გარე შრომით მიგრაციულ პროცესებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში.

## 3. მიგრაციული პროცესების გავლენა სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

შრომითი მიგრაცია თავისი არსითა და მნიშვნელობით, ერთ-ერთი სერიოზული და საინტერესო დემოგრაფიული პროცესია, რომელსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ მიგრაცია მიმღებ ქვეყანაში ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტის შევსებას და აძლიერებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სექტორებს მიმღებ ქვეყანაში, მეორე მხრივ კი მან მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, ერთის მხრივ კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესება, ხოლო მეორეს მხრივ, წარმომშობი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის გახდეს უარყოფითი შედეგის მომტანი, რადგან ძირითადად მიგრაცილ ნაკადში ხვდებიან ახალგაზრდა, შრომისუნარიანი და მაღალკვალიფიციური ადამიანები, რომლებსაც სურთ უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები და რომელიც საკუთარ სახელმწიფოში არ გააჩნიათ. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებს, ესაა - ,,ტვინების გადინება".

ნებისმიერი ქვეყნისთვის წინსვლისა და განვითარების განმსაზღვრელი მაღალკვალიფიციური მოსახლეობაა, თუმცა როდესაც სახელმწიფოში არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარებაა, საქმე გვაქვს ე.წ ,,ტვინების გადინებასთან". როგორც აღინიშნა, აღნიშნულის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად აგრეთვე მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი სხვა ქვეყანაში.[29] როდესაც ხდება განვითარებადი ქვეყნების მაღალკვალიფიციური კადრების გადინება, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში, სუსტდება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი. ,,ტვინების გადინების" პროცესი გრძევადიანი უარყოფითი შედეგის განმაპირობებელია სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, რადგან ხდება იმ კადრების გადინება რომლებისთვისაც სახელმწიფომ გარვეული კაპიტალი ჩადო განათლებაში და უცხო ქვეყანაში გასული ინტელექტუალი მოსახლეობის კვლავ დაბრუნების შანსი თავის სამშობლოში ბევრად ნაკლებია.

---

[27] ქაჯაია მ., 2005, ახალგაზრდობის გარე მიგრაციული განწყობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, გვ. 48-49;

[28] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ცხრილი #3, #4, <http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo> [წვდომა: 08.01.2020];

[29] Docquier F., Rapoport H., 2007. Skilled Migration: The Perspective of Developing Countries, IZA DP No. 2873, Forschungsinstitut zur Zukunft der Arbeit Institute for the Study of Labor, Bonn, June, P. 4-7;

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ეკონომიკური განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ფუნქციონირების და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზებას, რათა მოხდეს სოციალურად პასუხისმგებელი ეკონომიკის განვითარება, მომავალი თაობებისთვის რესურსული ბაზის შენარჩუნების პირობებში.[30]

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არასტაბილური ხასიათი მეტად ართულებს განათლების სფეროში პროგნოზირებისა და დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებას. როგორც პროფესორი, კ.კუტუბიძე აღნიშნავს „ეს ნოყიერ ნიადაგს ქმნის ინტელექტუალური შრომითი რესურსების ემიგრაციისთვის. მიგრაციის პროცესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ემიგრანტები ხდებიან ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, პროფესიონალები. ე.წ. „ინტელექტის გადინება“ ჩვეულებრივ გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანას განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოქალაქეები ტოვებენ (მუსიკოსები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები და სხვ.)“.[31]

ინტელექტუალური მიგრცია სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. აუცილებელია სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ქმედითი ღონისძიებების გატარება, მიგრაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, კომპლექსური მიდგომა და მჭიდრო თანამშრომლობა მიმღები ქვეყნის თითქმის ყველა შესაბამის სტრუქტურასთან შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია შრომითი მიგრაციის წარმომშობი ეკონომიკური ფაქტორებსა და თეორიების ანალიზი.

## 3.1 ეკომომიკური უსაფრთხოება როგორც ეროვნული უსაფრთხოების სეგმენტი

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად აქტუალური ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორების გამოკვლევა, რომელშიც უდიდესი როლი უკავია მიგრაციული პროცესების რეგულირებას, მართვასა და დადებითი მიგრაციული სალდოს შენარჩუნებას.

ძლიერი ეკონომიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს სტრატეგიას რეგიონსა და საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ეკონომიკის განვითარებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალი, მოსახლეობის განათლება, დემოგრაფიული მდგომარეობა და სახელმწიფოთა განვითარების უამრავი სხვა ფაქტორი.

[30] ჭელიძე ნ., 2005. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, მიგრაციის კვლევის ცენტრი, სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოება, მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, თბილისი, გვ. 55-64;

[31] კუტუბიძე კ., 2008. ინტელექტუალური რესურსები და ქართული რეალობა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №17 გამოცემა, თბილისი;

ეკონომიკური უსაფრთხოების, შესახებ მეცნიერთა შეხედულებები შიძლება დაიყოს შემდეგნაირად: [32] **პირველი ჯგუფი** მიიჩნევს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობა, რომლის მიზანი და ამოცანებია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის, საკმარისი თავდაცვითი პოტენციალის, საბანკო და საგარეო პროცესებისთვის დამაზიანებელი ქმედებებისა და პირობების აღმოფხვრა.

ი.ბოგდანოვი მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, რომელიც ჯერ ერთი, მოცულობითი და სტრუქტურული პარამეტრებით საკმარისია სახელმწიფოს არსებული სტატუსის, მისი საგარეო ზეწოლისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მეორე, რომელსაც უნარი აქვს დაიცვას ლეგალური შემოსავლების დონე მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობის ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტების შესაბამისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.[33]

რ.ოთინაშვილი-„სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს, ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების (მოთხოვნილების) რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობებს უზრუნველყოფს და ქვეყნის პროგრესის შემაფერხებელი გარე და შიდა საფრთხეებს აღუდგება წინ“.[34]

მეცნიერთა **მეორე ჯგუფის** მოსაზრების მიხედვით კი ეკონომიკური უსაფრთხოება არის ,,ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, შეხამება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ დონეს.

ლ.აბალკინი-ეკონომიკური უსაფრთხოება არის „როგორც იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, მის სტაბილურობას და მდგრადობას, მუდმივი განახლებისა და თვითსრულყოფის უნარს“.[35]

ე.ილარიონოვი-„ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების ისეთი შეხამება, რომელიც უზრუნველყოფს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის ერთ სულზე ეკომიკური რესურსების მაქსიმალური რაოდენობის წარმოებას ყველაზე ეფექტური ხერხებით“.[36]

ი.მესხია-„ეკონომიკური უსაფრთხოება იმ საშინაო და საგარეო პირობების ერთობლიობაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის დინამიური განვითარების საფუძველს ქმნის;მისი უნარია უზრუნველყოს ინვალიდის, სახელმწიფოს და საზოგადოების მოთხოვნილება, დააკმაყოფილოს კონკურენტუნარიანობა საგარეო ბაზარზე და შექმნას

[32] თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი-ქარდავა მ., 2006. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში;

[33] Богданов И. П., Испиран М., 2001. Экономическая безопасность России, Ж. „Теория и практика“ Р. 28;

[34] ოთინაშვილი რ., 2002. ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია. იხ. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი № 73. აგვისტო, გვ. 3;

[35] Абалкин Л. 1994. Экономическая безопасность России утроз Ж. „Вопросы економики“ №Т12, Р. 5;

[36] Иларионов А., 1998. Критерии экономической безопасности, Ж. „Вопроси економики“ № 10, Р. 49;

სხვადასხვა სახის საშიშროებისა და მატერიალური დანაკარგების თავიდან აცილების გარანტია.[37]

**მესამე ჯგუფი** კი მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური უსაფრთხოება არის საშინაო ეკონომიკური სისტემის მატერიალობა.“

ს.აფონცევი - „ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკური სისტემის მატერიალობა ეკონომიკური ან პოლიტიკური წარმოშობის ენდოგენური და ეგზოგენური შოკების მიმართ, რომელიც გამოვლინდება მის უნარში გაანეიტრალოს ნეგატიური შოკების პოტენციალური წყაროები და მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეალურად წარმოშობილ შოკებთან“.[38]

ა.სილაგაძე და თ. ჩიკვაიძე- „ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და მატერიალობას, სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით მისი მუდმივი მონაცემების სრულყოფასა და განვითარების უნარს“. მეოთხე, „ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის დაცვას“.[39]

ს.გალკინა, გ. კლეინერი და ი.პეტრენკო მიიჩნევენ, რომ „ქვეყის ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ უნდა გავიგოთ ამ უკანასკნელის დაცულობის ხარისხი იმ ფასეულობების (საფრთხეების, ძალების) წარმოშობის დასაწყისი მოქმედებისგან, რომელთაც შეუძლიათ არსებითი ზიანი მიაყენონ ქვეყნის მთლიანობას, სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, ეროვნული მიზნების შესაბამისად შეარყიონ თავისუფალი განვითარება, ან სერიოზულად გააუარესონ მისი მდგომარეობა მსოფლიო გაერთიანებაში“.[40]

თ.მაღლაკელიძე-„ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის დაცვას იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისაგან, რომლებიც არღვევენ აღწარმოებითი პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნის მის რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, ეკონომიკის მდგრად განვითარებას და სოციალურად ორიენტირებულობას, აფერხებს ეკონომიკურ ზრდასა და ხელს უშლის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას“.[41]

აქედან გამომდინარე, როგორც სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებებიდან ჩანს, სახელმწიფოთა შენარჩუნება-განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა ქვეყანაში დადებითი ეკონომიკური მაჩვენებლების უზრუნველყოფაა. ამ მიმართებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოში ზომიერი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, დემოგრაფიული უსაფრთხოების, მიგრაციული პროცესების სათანადოდ მართვის უზრუნველყოფა და სახელმწიფოში შესაბამისი ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის აუცილებლობა, რაც თავისთავად გამორიცხავს სახელმწიფოში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, რითაც თავიდან იქნება აცილებული

---

